



საქართველოს იუსტიციის
კოლეჯი „მოდუსი“



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 89

რუსთავი

27.04.2019

სსიპ კოლეჯი მოდუსის დირექტორის 2019 წლის 05 აპრილის N87
ბრძანების „სსიპ კოლეჯი მოდუსის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ დანართში ცვლილების შეტანის
შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 54-ე, 55-ე მუხლების, საქართველოს
შრომის კოდექსის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის
და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის #44/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი „მოდუსი“-
ს წესდების მე-5 მუხლის „თ“ პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შევიდეს ცვლილება სსიპ კოლეჯი მოდუსის დირექტორის 2019 წლის 05 აპრილის #87 ბრძანების დანართის
მე-11 მუხლის მე-3 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დისციპლინური კომიტეტი შედგება არანაკლებ 3 და არაუმეტეს 9 წევრისგან. რომელშიც შედიან
როგორც ადმინისტრაციის თანამშრომლები, ისე პროფესიული განათლების მასწავლებლების
წარმომადგენელი და პროფესიული სტუდენტების წარმომადგენელი. უკანასკნელი ორი წევრი
წარმოადგენს კომიტეტის არჩეულ წევრს, რომელთა წევრობის ვადა განისაზღვრება საკოორდინაციო
საბჭოს წევრობის ვადით. კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლებს კოლეჯის დირექტორი ნიშნავს
ბრძანებით. ასევე, ბრძანებით განისაზღვრება კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი. კომიტეტი
გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება საერთო წევრთა უბრალო უმრავლესობა“.

2. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერს ანა კაპანაძეს შინაგანაწესში
შეტანილი ცვლილება გააცნოს კოლეჯის თანამშრომლებს;

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;

4. დაევალოს კოლეჯის IT სპეციალისტს დავით მარანელს უზრუნველყოს ბრძანების გამოქვეყნება კოლეჯის
ვებგვერდზე;

5. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერს ანა კაპანაძეს დოკუმენტი
შესასრულებლად გადაუზღავნოს IT სპეციალისტს;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.
რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. #6)

კარლო კერვალიშვილი

დირექტორი

